## ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღების კონკურსის შემაჯამებელი სხდომის ოქმი

სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3
12 აგვისტო 2024 წელი 14:30 სთ.

დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
ვალერიან სილაგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი

კონკურსის შემაჯამებელ შეხვედრას ესწრებოდნენ:

დავით ერემეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი- კომისიის თავმჯდომარე;
იუზა უგულავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

ზვიად არჩუაძე - ააიპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის" დირექტორი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი
დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვალერიან სილაგაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;
გაგა სანდუხაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ლელა მაჩაიძე - პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის" გუნდის ლიდერი - კომისიის წევრი;

ნათია კობახიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

ემზარ ღვინიანიძე - „იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის" ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დღის წესრიგი

1. ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მიღების კონკურსში შემოსული განაცხადის განხილვა.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N44.442418317 დანართი N1 „ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერი კონკურსის წესი და პირობები"-ს ცვლილება.

**სხდომის მსვლელობა**

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარე დავით ერემეიშვილმა და კომისიის წევრებს წარუდგინა ი/მ მამუკა სინაურიძის განაცხადი - საცხენოსნო კლუბი „სინაური". კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განაცხადი ვერ აკმაყოფილებს კომისიის პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვალერიან სილაგაძემ განმარტა, რომ კონკურსის პირობების გათვალისწინებით არ ფინანსდება სარემონტო სამუშაოები, რაც განაცხადში წარმოდგენილი ხარჯის ძირითად მოცულობას წარმოადგენს. პეტრე ადამაძემ რეკომენდაციით მიმართა კომისიას, რომ მოხდეს კონკურსის ხელმეორედ გამოცხადება. იდეას დაეთანხმა კომისიის წევრები და აღნიშნული კონკურსით ბიზნესის მხრიდან გამოვლენილი ნაკლები ინტერესის გამო, რაც აისახა შემოსული განაცხადების რაოდენობაზე, მიიღეს გადაწყვეტილება შეეცვალათ „ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად /შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერი კონკურსის წესი და პირობები" და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით. /დანართი N1/

დასკვნა

კომისიამ დაადგინა, რომ წარმოდგენილი განაცხადი ვერ აკმაყოფილებს კონკურსის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება „ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერისხ კონკურსის წესი და პირობები"-ს დანართი N1 შესაბამისად ცვლილებასა და აღნიშნული კონკურსის თავიდან გამოცხადების შესახებ.

დავით ერემეიშვილი

ზვიად არჩუაძე

იუზა უგულავა

პეტრე ადამაძე

დავით ნიშნიანიძე

ვალერიან სილაგაძე

გაგა სანდუხაძე

ლელა მაჩაიძე

ნათია კობახიძე